

შინაპატიმრობის დანიშვნის და აღსრულების მექანიზმები
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში



მარიამ გალჩევა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: იოსებ ვარძელაშვილი, სამართლის მეცნიერებათა
დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

მარიამ გალჩევა

11.06.2022

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არსებული ნოვატორული სასჯელის, შინაპატიმრობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვას. კვლევაში განვითარებულია მსჯელობა შინაპატიმრობის დანიშვნისა და აღსრულების მექანიზმთან დაკავშირებული სამართლებრივი ხარვეზების შესახებ. ადგილობრივი სასამართლო პრაქტიკისა და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების შედარებით სამართლებრივმა ანალიზმა, წარმოაჩინა საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში შედარებით ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის დანერგვის აუცილებლობა.

ნაშრომში განხილულია ელექტრონული მონიტორინგის არაპოზიტიური გავლენა არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ და სასჯელის აღსრულების ფორმის კონსტიტუციურ სამართლებრივი ანალიზი. გარდა კრიტიკული მსჯელობისა, კვლევაში ასევე წარმოდგენილია შინაპატიმრობის, როგორც ალტერნატიული სასჯელის, არაერთი უპირატესობა საპატიმრო სასჯელებთან მიმართებაში.

მიუხედავად განსახილველი საკითხის აქტუალური ხასიათისა, საქართველოში არსებული სამეცნიერო კვლევები შინაპატიმრობის შესახებ არც თუ ისე მრავლად მოგვეპოვება. ნაშრომის უნიკალურობა სწორედ მის ნოვატორულ ბუნებაში მდგომარეობს, რომელიც საინტერესო იქნება არა მხოლოდ პრაქტიკოსი იურისტებისთვის და სტუდენტებისთვის, არამედ ნებისმიერი პროფესიის ადამიანისთვის.

საკვანძო სიტყვები: შინაპატიმრობა, ელექტრონული მონიტორინგი, ალტერნატიული სასჯელი, ლიბერალიზაცია.

Abstract

The presented master's thesis is dedicated to the review of the theoretical and practical aspects of the innovative sentence (house arrest) in the Georgian legislative area. The study discusses the shortcomings of the mechanism of appointment and enforcement of house arrest. The legal analysis of local court practice and international principles has shown the necessity to implement a liberal criminal policy for Juvenile justice in Georgia.

The master's thesis discusses the negative impact of electronic monitoring on juvenile offenders and a constitutional legal analysis of the form of sentencing. Apart from critical discussion, the study presents the advantages of house arrest over prison sentences.

Despite the actual nature of the issue, there is not much scientific research of house arrest in Georgia. This study is unique because of the innovative nature of punishment, which will be interesting not only for practicing lawyers and students, but also for people of any profession.

Keywords: House arrest, Electronic monitoring, Alternative punishment, Liberalization.